„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ᲝᲯᲮᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ღიაა ყოველ დღე: დილის 10 საათ. დუაღლის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 33. კვირა, 11 სექტემბერი 1905 წლისა. № 33.

„მოგზაურის“ რედაქციისაგან: ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დღევანდელი ნომერიც სრულათ ვერ გამოდის.

შინაარსი: სომხების და თათრების ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში, ფ. მახარაძისა.—მთავრობის განკარგულება.—სხვა-და-სხვა ამბები.—დაბა-სოფლის ამბები.—ბაქოს ვითარება.—რუსეთის ქრონიკა.—რუსეთ-იაპონიის ომის გავლენა იაპონიასა და ჩინეთზე, კაუტსკისა, (თარგმანი).—წერილი რედაქციის მიმართ.

სომხების და თათრების ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში.

მთელი ქვეყნიერების ყურადღება ამ ჟამათ მიქცეულია ბაქოსაკენ. ბაქო მილიონების და მილიონერების ქალაქია. დი აი ამ მილიონების შეძენა დღეს იქ შეფერხდა, მას მომავალშიაც საფრთხე მოელის, და ამიტომ ალაპარაკდენ და შეძრწუნდენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები და მათი დამქაშები. რა იყო, რა მოხდა? სიშინელი და საზარელი სისხლის ღვრა, აუარებელი სიმდიდრის განადგურება. სომხებსა და თათრებს შორის დიდი ხნიდან ღვიოდა ფანატიკური სიძულვილი და მტრობა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროშდის ყოველივე ეს დაფარული იყო და გარეგანი მშვიდობიანობა სუფევდა. სომხები და თათრები არეულათ ცხოვრობენ ამიერ-კავკასიაში. თუმც თათრებს და სომხებს ცალკე პროვინციებიც აქვთ, სადაც მხოლოთ ერთი რომელიმე ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ უმეტეს ნაწილათ. უკვე რამდენიმე სუკუნე იქნება რაც ისინი ამ პირობებში ცხოვრობენ, და ერთიერთმანეთის მეზობლებათ ითვლებიან. დღემდის ჩვენ გვეგონა, რომ იმათში ჩვეულებრივი მეზობლური ურთიერთობა არსებობდა, თუ ძმობა და მეგობრობა არა. მაგრამ ჩვენ სასტიკათ მოტყუებული დავრჩით. ამ ორ ერს შორის არსებული განხეთქილება და სიძულვილი უცებ, ყველასათვის მოულოდნელათ, ყოვლათ სამარცხვინო ომათ, საშინელ სისხლის ღვრათ გადაიქცა. ეს ომი მით უფრო საზარელია, რომ მას დასასრული არ უჩანს. რუსეთის და იაპონიის მორიგება ბევრათ უფრო მოსახერხებელი იყო, ვინემ სომხების და თათრების შერიგებაა დღეს შესაძლებელი. ამის მსგავსი ჯერ არაფერი მომხდარა არა თუ სხვა ქვეყანაში, არამედ თვით რუსეთშიაც კი, რომელმაც მრავალჯერ განიცადა ებრაელების ჟლეტა-ხოცვა და აკლება. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დღეს საშინელ განსაცდელშია ჩაყენებული. თუ აქამდის ერთი მხრიდან გვეშინოდა, დღეს ყოველ მხრიდან განსაცდელი მოგველის. თუ აქიმდის ჩვენში ადამიანის პიროვნება ერთი მხრიდან იყო შეურაცხოფილი და გათელილი, დღეს იგი ყოველ-ფეხის ნაბიჯზე ითელება. აქამდის მაინც რამდენიმეთ ადამიანის სიცოცხლე უზრუნველ ყოფილი იყო, დღეს კი არ იცი, როდის ან რომელი მხრიდან სიცოცხლეს გამოგასალმებენ. მხოლოთ ახლა, ბაქოსა, ერევანსა და შუშაში მომხდარ ამბების შემდეგ ვტყობილობთ ჩვენ, თუ ჩვენ გვერდით, ჩვენ მეზობლათ, რამდენი ბნელი ძალები ყოფილა შენახული, მხოლოთ თებერვლის და აგვისტოს ამბების შემდეგ ვგებულობთ, თუ რა ველურობა, ბარბაროსობა და სიმხეცე ყოფილა დაცული თანამედროვე განვითარებული ტეხნიკის გვერდით და ეს არა მარტო თათრებზე ითქმის. მოგეხსენებათ, რომ სომხებს განათლებულ ხალხათ მოაქვთ თავი, რომ ისინი მუდამ ჭამ თავის მაღალ კულტურას და განმანათლებელ ღვაწლზე გაიძახიან. ახლა ერთი ვიკითხოთ, რა გამოიყენეს იმათ ამ სამარცხინო შეტაკების დროს, ან რა ღვაწლი მიუძღვის იმათ წარსულში? აწმყო ხომ წარსულის შედეგია. ის, რაც დღეს სომხებსა და თათრებს შორის ხდება, ეს ყოველივე წარსულის ნაყოფია. მაშასადამე აშკარაა, რომ ამ ხალხს საუკუნოების განმავლობაში მტრობა და სიძულვილი უთესავთ, რომ იმათ მხოლოთ მიუკარებლობა, შოვინისტური ნაციონალიზმი და ფანატიზმი განუვითარებიათ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ. და იი სამწუხაროთ, ამ მხრით სომხებმა, როგორც ქრისტიანებმა და კულტურით თითქო თათრებთან შედარებით უფრო მაღლა მდგომებმა, ვერ დაიმსახურეს ვერც ნდობა და ვერც პატივისცემა თავის მეზობელ ხალხის თვალში. რამდენათაც ჩვენ ვუკვირდებით სომხის ხალხს, იმდენათ უფრო აშკარათ ვამჩნევთ მათ უკიდურეს ნაციონალისტურ მიდრეკილებას, კლერიკალური იდეებით შეჭურვილს. ამიერ-კავკასიაში სომხის ბურჟუაზია ბევრათ უფრო ძლიერია სხვა რომელიმე ადგილობრივ ერის ბურჟუაზიაზე; და აი სწორეთ ამ ბურჟუაზიამ, სამღვდელოების დახმარებით, სრულიათ შებოჭა სომხის მშრომელი ხალხი საშუალო საუკუნოების იდეების, ნაციონალური შოვინიზმის საშუალებით. სომხის ბურჟუაზია და სამღვდელოება შეერთდენ სომხის პროლეტარიატის დასაბნელებლათ და თავიანთ მისწრაფებათა განსახორციელებლათ. სომხის ბურჟუაზიამ წამოაყენა სომხის მშრომელი ხალხის წინაშე ერთი მხრით ნაციონალისტური იდეალი და მეორე მხრით სომხის სამღვდელოება, და ორივე ეს ეროვნულ საქმეთ დასახა. ამნაირათ სომხის ბურჟუაზიამ და სამღვდელოებამ თავისი კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებათ გამოიყვანეს და ამ ანკესზე მოყვა სომხის მშრომელი ხალხი. იმ დროს, როცა კავკასიის სხვა ეროვნებათა მშრომელი ხალხი ცოტათ თუ ბევრათ გაცნობიერებულ იქნა და განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში მოყვა, სომხის მუშა ხალხი, თითქმის საერთოთ ამის გარეშე დარჩა. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ე. ი. სომხის მუშა ხალხი რომ მომზადებული ყოფილიყო და შეგნებული ქონოდა თავისი კლასობრივი ინტერესები, მაშინ ის აღარ მოხდებოდა, რაც მოხდა, და ბევრ უბედურებას თავიდან ავიცილებდით. მაგრამ

ამის მაგივრათ, სომხის მუშა ხალხი საღათას ძილს მიცემოდა, და იმავე დროს კი სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგები, რევოლიუციონურ ორგანიზაციებიდან დაწყებული კრელიკალურ წრეებამდე, ერთა შორის მტრობას, ქიშპობას და ფანატიზმს ავრცელებდენ. რომ სომხების მეზობლათ თათრების მაგივრათ სხვა რომელიმე კულტურული ხალხი ყოფილიყო, ეს ეროვნული განხეთქილება, ეჭვი არ არის, სხვა სახეს მიიღებდა და სისხლის ღვრით არ დაბოლოვდებოდა. მაგრამ, საუბედუროთ, სომხებთან მეზობლათ თითქმის კარდაკარ, ცხოვრობდა თათრობა, რომელიც გონებრივათ სომხობაზე დაბლა თუ არა, მაღლა არ დგანან, და რომლებშიაც სარწმუნოებრივ ფანატიზმს კიდევ ღრმა მაგრათ აქვს ძირი გადგმული. ამნაირათ ჩვენ გვესმის, თუ საიდან და როგორ მზადდებოდა ნიადაგი იმ საშინელი სისხლის ღვრისათვის, რომლის მოწამენი ჩვენა ვართ. სომხების და თათრების გამწვავებულ ურთიერთობას მხოლოთ ამ ორი ერის მუშა ხალხის ერთობა და სოლიდარობა მოუღებს ბოლოს. ბურჟუაზიის წარმომადგენელების ძმობილობა და სასულიერო პირების ურთიერთშორის ამბორის ყოფა ეს უფრო იუდის ამბორს მოგვაგონებს და მეტს არაფერს. ასეთი საშუალებით ეროვნულ განხეთქილების ჩაქრობა ყოვლად შეუძლებელია.

ფ. მახარაძე.

მთავრობის განკარგულება

(„კავკაზი“ № 227).

რადგანაც ამჟამად მაფნე აგიტაციის გავლენით გორისა და დუშეთის მაზრებში უწესოებანი ხდება, დარღვეულ წესების აღსადგენათ საჭიროთ ვცანი,ეს მაზრები თვითმპყრობელის გუბერნატორის განკარგულებიდან გამოვანაწილო და დაუქვემდებარო სამოქალაქო ნაწილის მხრივ მე 77 ტენგინის პოლკის უფროსს პოლკოვნიკს ალფანტს და მასვე ჩავაბარო ხსენებულ მაზრებში დაბანაკებულ ჯარების უფროსობაც. პოლკოვნიკს ალფანტს მინდობილი აქვს სავანგებო უფლებანი და სამოქალაქო ნაწილის მხრივ დასახმარებლათ ვნიშნავ ჩემთან მყოფ საგანგებო მინდობილობათა მოხელეს კოლეგიის სრეტარეს თვ. გრუზინსკის.

ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი
გრაფი ВОРОНЦОВ-ДАШКОВ.

სხვა და სხვა ამბები.

— ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ბაქოში ჩასულა ორი ქვეითა პოლკი, ერთი ყაზახთა პოლკი და არტილერია, სულ 10,000 კაცი.

— სექტემბრისთვის ტფ. სასამართლო პალატის სესია ბაქოში განიხილავს პოლიტიკურ საქმეს. ბრალი ედება: ალექსანდრე ობოლაძეს, ე. კრივოშეევისას და მიხეილ ბრეგვაძეს.

— სინოდალური კანტორის ხაზინადრათ ნამყოფს არდაზიანს, როგორც გამოირკვა სულ გაუფლანგავს 207,000 მან. რევიზია ყოველ თვეში იყო, მაგრამ არდაზიანი ისე ახერხებდა, რომ ეჭვი არავის შეპარვია.

— 5 სექტემბერს ყვირილაში მოუკლავთ ადგილობრივი დეპოს უფროსი ბლოკი. მკვლელი დამალულა (ნ. ო.).

— განჯის გუბერნიაში გაზეთების სიტყვით, არსდება მუდმივი თანამდებობა სამხედრო გუბერნატორისა.

— ჰიათურაში, 1 სექტემბერს, რევოლვერით მოუკლავთ სოფ. ქალიას მცხოვრები, აზნაური ნესტორ აბაშიძე. მკვლელი ვერ აღმოუჩენიათ.

— ცხინვალიდან „კავკ.“-ს ატყობინებენ, რომ 31 აგვისტოს, იქ მოუკლავთ სტრაჟნიკების ურიადნიკი დევიატკა. მკვლელი მიმალულა.

— ოლქის ჯარების უფროსის ბრძანებით, ქ. ნუხაში და მის მიდამოებში დაუყოვნებლივ გაიგზავნა ტვერის დრაგუნის პოლკის ერთი ესკადრონი.

— ბაქოს დრ. გენალ-გუბერნატორის ბრძანებით უსაქმოდ დარჩენილი მუშები, რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ, დაუყოვნებლივ ბაქოდან უნდა წავიდნენ; ვინც ამ ბრძანებას არ აასრულებს, ადმინისტრატიულის წესით გაგზავნიან, როგორც მაწანწალებს. („ბაქო“).

— როგორც გადმოგვცეს, 29 აგვისტოს ქალაქის საბჭოს შენობაში მომხდარ უბედურობის დროს პოლიციას და ყაზახ-რუსებს შეელოდა საბჭოს სახლის ერთი მცველი და თავად-აზნაურთა დამხმარებული საზოგადოების შენობის დვორნიკი. ქალაქის გამგეობას მცველი უკვე სამსახურიდან დაუთხოვია.

— სად. აბაშიდან ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში“ (№ 227) დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: კვირას, 4 სექტემბერს, როცა სამგზავრო მატარებელი № 16 მოვიდა, საღამოს 5 საათს და 25 წუთზე, მატარებელს დაეცა რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი ხალხის ბრბო, რომელიც იარმარკის გამო იყო იქ შეკრებული. ატყდა სროლა ერთი მხრით ხალხსა და მეორე მხრით აფიცერისა, 3 სალდათსა და 3 ჟანდარმის შორის. სროლის დროს უცნობმა პირებმა მოხსნეს ორთქმავალი, რომელიც სამტრედიაში წავიდა, მატარებელი კი აბაშაშივე დარჩა პასაჟირებითურთ. ხალხის მხრით რამდენიმე კაცი დაჭრილი და მოკლულია; ამ მატარებლით პოლიტიკური ტუსაღები მიყავდათ ქუთაისში. ხალხს სწორეთ იმათი განთავისუფლება სურდა.

— მოვიდა ყუბანის პოლკის სამი ბატალიონი, ნავაგინისა ერთი ბატალიონი და თერგის კაზაკთა ბატარეია.

— 7 სექტემბერს სამაზრო კრებაზე ერობის შესახებ საზოგადო პრინციპიალურ საკითხების ოთხი მუხლი დღეს სოფლების წარმომადგენელებმა მიიღეს, ათის ხმით ერთის წინააღმდეგ. შემდეგ სოფლების წარმომადგენელებმა საჭიროთ აღარ სცნეს საკითხის დაწვრილებით შემუშავება და ხალხთან ერთათ დემონსტრატიულათ დარბაზიდან გავიდნენ.

— ამას წინათ კავკასიის რკინის გზაზე სახალხო მატარებელს ინგუშები დაეცენ. ამის შემდეგ ოლქის უფროსს კავკასიის ნამესტნიკისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „მოთხოვეთ ინგუშებს, გაცენ ყაჩაღები რომლებიც მატარებელს დაეცენ; ვაძლევ მათ სამი დღის ვადას, ამის შემდეგ იმ ადგილის ახლო მახლო მდებარე სოფლებს კონტრიბუციას გადავახდევინებო“.

— ოლქის ჯარების უფროსის ბრძანებით, დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს ქ. ოზურგეთში კურინის პოლკის ერთი ბატალიონი, ხოლო ახალ-სენაკში უნდა გაიგზავნოს მეორე ბატალიონი (კავკ.).

— ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავერში გაიგზავნა ჩერნომორის კაზაკთა პოლკის ერთი ასეული (კავკ.).

— განჯიდან ქ. შემახაში გაიგზავნა შემახის პოლკის ერთი როტა. (კავკ.).

— დ. ზუგდიდიდან ქ. ოზურგეთში გაიგზავნა არდაგანის

პოლკის ერთი როტა, აქედან ნახევარი როტა ქობულეთს წავა. (კავკ.).

— ნამესტნიკის მიერ დანიშნულ კომისიას სიღნაღის მაზრის რამდენსამე სოფელში გამოუკვლევია ზარალი, რომელიც აგრარულ მოძრაობით მემამულეთ მოსვლიათ, შეუდგენია განსაკუთრებული აქტები და სისრულეში მოსაყვანათ მაზრის ადმინისტრაციისთვის გადაუცია.

— 6 სექტემბერს. რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქალაქის საბჭოში ამოხოცილთა სულის მოსახსენებლათ.

— 5 სექტემბერს, თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი 29 აგვისტოს ქალაქის საბჭოში მომხდარ შეტაკების დროს დაღუპულთა მოსახსენებლათ.

— კავკასიაში საეროპო დაწესებულებათა შემოღების შესახებ სათათბიროთ შემდგარმა თფილისის სამაზრო კრებამ დაადგინა: იმ უმწეო მდგომარეობის გამო, რომელსაც დღეს განვიცდით, კავკასიაში საეროპო დაწესებულებათა შემოღების შესახებ საკითხის განხილვა ამ ჟამათ შეუძლებელია, ამიტომ კრებამ დაადგინა, შეაჩეროს თავის მოქმედება, სანამ მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება.

— 2 სექტემბერს, თბილისში, დუშეთის ქუჩაზე მოკლეს გოროდოვოი მიხეილ იაგუნოვი. მკვლელს წაუღია გოროდოვოის რევოლვერი და მიმალულა.

— 1 სექტემბერს ქუთაისში მოხდა სრული გაფიცვა, მაღაზიები და სხვა და სხვა სავაჭროები დაკეტილი იყო; ქალაქის გამგეობაში, ბანკებში, სასამართლოებში და სხვა კერძო, თუ საზოგადო დაწესებულებებში მუშაობა შეწყვეტილი იყო; ქუჩებს ნამდვილი სამგლოვიარო ფერი ედო: ეტლებისა და ბოქკების ხრიალი არ არღვევდა სიჩუმეს; არ ისმოდა აგრეთვე სიმღერის და მხიარულობის ხმა; ქალაქის ბაღი მთელი დღით დაკეტილი იყო.

— ქუთაისში მდგომი ქვეითი ჯარი სხვაგან გადაყავთ, მის ნაცვლათ კი სხვადასხვა ადგილებიდან მოყავთ ახალი ჯარი. ჯარის ერთი ნაწილი უკვე ჩასულა ქუთაისში, რომელსაც თან ზარბაზანი ჩაუტანია. („ივერია").

— თანახმათ საკუთარის თხოვნისა, პოლიცმეისტერმა პოლიციის სხვა-და-სხვა ნაწილიდან სამსახურიდან დაითხოვა 11 გრროდოვოი.

— ქ. იენაში (გერმანიაში) 6 სექტემბერს, ვიებერთელა სახალხო სახლში გაიხსნა გერმანიის სოციალ დემოკრატების სიეზდი; გამოცხადდა 370 დელეგატი, მათ შორის პარტიის ყველა გამოჩენილი დეპუტატები: ბებელი, ფოლმარი, ჰეინე და ზინგერი. თავმჯდომარეობს ზინგერი. პირველი რეფერატი ორგანიზაციის შესახებ წაიკითხა ფოლმარმა. ამბობენ, რომ ამ დღეებში ჟორესი მოვა და სიტყვას წარმოთქვამს საყოველთაო მშვიდობიანობაზე, რომლის წარმოთქმას ბერლინში აპირებდა.

— 9 სექტემბერს რკინის გზის სასწავლებელში, მოწაფეების თხოვნით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი 29 აგვისტოს ქალაქის შენობაში დახოცილთა მოსახსენებლათ. პანაშვიდის შემდეგ მოწაფეებმა მოითხოვეს, იმ დღეს სწავლა აღარ ყოფილიყო. ეს მოთხოვნაც დაიკმაყოფილეს, ხოლო ამას არ დამორჩილდა ერთი მასწავლებელთაგანი და მან ძალით მოინდომა სწავლის გაგრძობა.

— თფილისის პოლიცმეისტერს შემდეგი ცირკულიარი მიუწერია თფილისის ყველა ბოქაულებისთვის: როგორც კი დაიწყება ქალაქში არეულობა პოლიციელები თავს არ ებებენ სამსახურს და შემდეგ, როცა ცხოვრება დაწყნარდება, ისევ სამსახურს უბრუნდებიან. ამიტომ გავლებთ, რომ პოლიციელები სამსახურში აღარ მიიღოთო.

— 8 სექტემბერს სად. მიხაილოვში სასიკვდილოთ დაუჭრიათ საქონლის კასირი თ-დი ი. ანჩაბაძე. მკვლელი დაუჭერიათ.

— ჰიათურის ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ იქ ჯარი იქმნას გაგზავნილი.

— სოფ. იგოითში (გორის მაზრა) მცხოვრებ მილიციონერებს, გზ. „ივერიის" სიტყვით, იარაღი წითელი რაზმის წევრებისათვის გადაუციათ. ასევე მოქცეულან სოფ. საკორინთლოში მცხოვრები აზნაურები.

— ქუთაისიდან ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებენ, რომ 9 სექტემბერს სად. კოპიტნარში თავს დაცემიან რკინის გზის მეარტელეს, რომლისთვისაც წაურთმევიათ 9,267 მანეთი. ერთი დარაჯი მოუკლავთ თავდამსხმელები გაქცეულან.

— როცა ტავასტგუბის გუბერნატორის (ფინლიანდიაშია) მოკვლის განზრახვის გამო ხელმწიფე იმპერატორს მოხსენება წარუდგინეს, მან საკუთარი ხელით წააწერა: „ამნაირი მოქმედებებით მაიძულებენ მთელ ფინლიანდიაში სამხედრო წესება შემოვიდოთ". მანსამეიუში თოფებით სავსე 33 ყუთისა და პატრონების და 60 ყუთის აღმოჩენის გამო წარდგენილ მოხსენებაზე ხელმწიფე იმპერატორმა წააწერა: «ტუდი სჭმუა».

— **I. 29 აგვისტოს 1905 წ. ქალაქის საბჭოში დაჭრილთა და მიხაილოვის საავათმყოფოში მიყვანილთა სია გაზ. „კავკაზში" გამოქვეყნებული.** — კოგოშიძე ესტ. ქრისტეფორის-ძე, იტრიევი ალექსანდრე გრიგოლის-ძე, ამირაჯიბი ალექსანდრე პეტრეს-ძე, ბიბიოაშვილი სანდრო ალექსის-ძე (გარდაიცვალა 1 სექტემბერს 2 სექტემბერს დაასაფლავეს), ლობჟინიძე ისაკ ქაიხოსროს-ძე (გარდაიცვალა 30 აგვისტოს, დაასაფლავა პოლიციამ 31 აგვისტოს), ჯავახიშვილი სტეფანე ზურაბის-ძე, ეგაშვილი მიხაილ აბრამის-ძე, ჯავახიშვილი პავლე გრიგოლის-ძე, კვირიკაძე კონსტანტინე დავითის-ძე, ტერ-გრიქუროვა ივაკიმ მარტიროსის-ძე, (გარდაიცვალა 30 აგვისტოს დაასაფლავა პოლიციამ 31 აგვისტოს), აკოფოვი ოლანეს ემელიანის-ძე (გარდაიცვალა 29 აგვისტოს, იმ დღესვე დაასაფლავეს), გოგავა მახეილ ლარიონის-ძე, თალაკვაძე პანტელეიმონ იასეს-ძე (გარდაიცვალა 2 სექტემბერს და დაასაფლავეს 5 სექტემბერს), ევსევი სერგეი გაბრიელის-ძე, ხავთასი ილიკო ლავრენტის-ძე, პაპოვი პროხორ პეტრეს-ძე, ტელეგა ლუკა კარპეს-ძე, სოლოგრუბსკი ანტონ ვლადიმერის-ძე (გარდაიცვალა 31 აგვისტოს დაასაფლავეს 2 სექტემ.) კვირიევი ქრისტეფორე კონსტანტინეს-ძე, უწურაული ივანე შიოს-ძე, ჯოხაძე პოლიკარპე ლუკას-ძე, მერაქსიანი არმენაკ მელიქსედის-ძე, ხორელიძე ვასილ პეტრეს-ძე, თვალჭრელიძე აკაკი ფილიპეს-ძე, დურგლიანცია სიმონ სტეფანეს-ძე (გარდაიცვალა და დაასაფლავეს 30 აგვისტოს), გალუსტოვი ალექსანდრე ავეტისის-ძე, რევაზოვი ალექსანდრე არტემის-ძე, ლეკიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, პატკანიანი აკოფ გრიგოლის-ძე, მიხაილოვი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე, კონცევიჩი პეტრე ბოკენტის-ძე (გარდაიცვალა და დაასაფლავეს 29 აგვისტოს), კერვალიძე ვასილი გიორგის-ძე, ბაიანდუროვი ერვანდ ზაქარიას-ძე (გარდაიცვალა 29 აგვისტოს და დაასაფლავა პოლიციამ 30 აგვისტოს), ბოგდავაძე დავით დავითის-ძე, ენუქიძე სოლომონ გიორგის-ძე (გარდაიცვალა 29 აგვისტოს და დაასაფლავა 30 აგვისტოს პოლიციამ), მეიფარიანი პლა-

ტონ სოლომონის-ძე, გოლეტიანი ანდრია გლახუას ძე, მირიმანოვისა ანნა მოსეს-ასული. სულ 39, ამათ შორის 10 გარდაიცვალა.

— II. **საამბულიატორო ავათმყოფები, რომლებიც დასჭრეს 29 აგვისტოს 1905 წ. ქალაქის საბჭოს შენობაში.** სურგულაძე სერგი, პარკოსაძე სტეფანე, კლიბაჩევი სიმონ, ტოტვაძე პავლე, საგარაშვილი კონსტანტინე, ვარენლაძე ვანო, ხუდოშვილი გიორგი, ვლადიმიროვი მიხეილ, ტერ-სიდომონიანცი არამი, ლაშხი მიხეელ, ჩერნიაევი ვალენტინე, კულიკოვი ანდრია, ისრაელიანცი აკოფი, ხუსურაული ვანო, პილუკიძე სოლომონ, ხოროშველი გიორგი, პოლოსიანცი არსენი, მიკირტუმოვი სანდრო, ტოროტაძე ვლადიმერი, შერშოვი გრიგოლი, გვენცაძე ეპიფანე, კოსოშვილი სამსონი, ქარცივაძე მიხეილ, ტოგიევი ილია. სულ 24.

— III. **29 აგვისტოს მოკლულთა სია, რომლებიც მიხეილის საავათმყოფოში მიიყვანეს.** თაქთაქიშვილი ალექსი (31 აგვისტოს დაასაფლავეს), მელაძე ივანე (ჩააბარეს პირისუფალს, და დაასაფლავეს 31 აგვიტოს), ლიპარტიანი მიხეილი (ჩააბარეს პირისფალსა და დაასაფლავეს 31 აგვისტოს) ისაევი სარქის (ჩააბარესპირისუფალსადა დაასაფლავეს 31 აგვისტოს), ვართანოვისა ბარბარე (ჩააბარეს პირისუფალსა და დაასაფლავეს 31 აგვისტოს) ტყეშელაშვილი ანტონ (ჩააბ. პატ. და დაასაფ. 31 აგვ.) შახნაზაროვი თამარა (ჩააბ. პირისუფალსა და დაასაფ. 31 აგვ.), ფისკოვისა ევა (ჩააბარეს პატრონს და დაასაფლავეს 31 აგვ.), კუბლანოვისა ლორა (ჩააბარეს პატრონსა და დაასაფლავეს 31 აგვ.) კორიანსკისა ევგენია (ჩააბარეს პატრონსა და დაასაფლავეს 30 აგვ.) ზბუტოვიჩი ალექსანდრე (ჩააბარეს პატრონს და დაასაფლავეს 30 აგვ.), კოკიაშვილი ისაია (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), ჩიკვაიძე ვასო (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), ჭელიძე ნიკოლოზ (პოლიციამ დაასაფ. ლავა 30 აგვ.), ავეტისიანც არმაკ (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), გვაზავა კონსტანტინე (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), ჩოგნელიძე (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), კახეთელიძე კირილე (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), ერზინკიანცი არისტაკი (პოლიტიამ დაასაფლავა 30 აგვ.), მორზოევი ივანე (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), კორლანოვი ალექსანდრე (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვ.), ტორმალიძე პაველე (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვ.) დარახველიძე ხარიტონ (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვ.), ზუბიაშვილი დარჩო (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვ.), ვასილიევი ნიკოლოზ (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვ.), ორი მოკლული ვერ გამოიცნეს (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვისტოს). სულ მოკლულია 23 კაცი, 3 გარდაიცვალა სანამ ექიმი მიეშველებოდა—26.

დაბა-სოფლის ამბები

გორი. კვირას, 21 აგვისტოს; დილის 10 საათზე, აქ ექვსი ტყვეით მოკლეს ცნობილი ბრისტავი თვ. ბარძიმ ავალიშვილი. მკვლელი მაიმასლა. ამბობენ ამ ოთხი თვის წინათ ავალიშვილს შეუთვალეს: „ან სამსახურიდან გადი, ან მოგკლავთო“. ავალიშვილი შეხვედრია „ორი-სამი თვე დამცადეთ, და მერე თუ არ გავიდე, მომკალითო“. მაგრამ ბარემ ოთხი თვეც გავიდა, რომ იგი ადგილიდან არ აძრობდა. მის დამარხვას. (24 აგვისტოს) გარდა ახლო-მახლო ნათესავებისა, სამხედრო ხარებისა და უფახებისა არავინ დასწრებია: დამარხვის დროს ერთი უმწვილი შეაბერეს რომელსაც აქ სიტყვა წარმოეთქვა.

ამ კვირაა კარალეთში მოკლეს თვ. მიშო ერისთვის მოურავი ცინარი, რომელისთვისაც თურმე კლენებს შეუთვლიათ: „ჩვენ „ბოიკოტს“ მოვეხრე და თვე. ერისთავისკენ [illegible] მოგკლავთო“. იმას არ დაუჯერია და აგი [illegible] გორში დამარხეს (23 აგვისტოს) და იმის დასაფლავებასაც, გარდა ახლო-მახლო ნათესავებისა, არავინ დასწრებია. ასე გაშინჯეთ თვით მიშო ერისთავსაც, რომლის გულისათვის განსვენებულმა თავი გასწირა, ფეხი არ გადუდგამს შიშისგან.

გორელი.

ქუთაისი. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებლების გაფიცვა, რაც 2-ს მარტს იქნა გამოცხადებული, კარგა ხანს არავის ჯერიდა, და მართლაც იმ ხანებში გაფიცული იყო მხოლოდ მასწავლებელთა მცირე ნაწილი; ამათშიაც ზოგიერთები, გაფიცულთა რაზმში ჩარიცხულთ, როგორც გამოირკვა, თურმე მაწერ-მოწერა ჰქონდათ გამგრთული ბ. ინსპექტორებთან და დირექტორებთან. ამას წინეთ მასწავლებლები შეიკრებენ ქუთაისში, ითათბირეს თავიანთ წერ-კითხვაზე მასწავლებელთა კრებამ მიიღო რა მხედველობაში, ის გარემოება, რომ დღევანდელ დაუწუნარებელ და პრობოკრებულ დროში მეტათ საჭიროა, მოზარდი თაობა სრულებით გაუნათლებელი არ დარჩეს მთავრობის სკოლების დაკეტით, გადაწყვიტა: შეუდგენ ახალ სკოლის მოწყობის საქმეს.

ილია ბახტაძე.

ყვირილა. 16 აგვისტოდან ნოქრები, ქარგლები და შეგირდები გაიფიცენ; გაფიცვა გაგრძელდა 24 აგვისტომდე და დასრულდა იმით, რომ ნოქრები და მდაზიების და დუქნების პატრონები შეთანხმდენ შემდეგში:

1) 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე ყოველ-გვარი სავაჭრო და სახელოსნო დუქნები უნდა გაიღოს დილის 6 საათზე და დაიკეტოს საღამოს 7 საათზე; 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე გაიღოს 7 საათზე და დაიკეტოს საღამოს 7 საათზე. გვირა უქმე დღეებში უნდა დაიკეტოს;

2) მოემატოს ყველას ჯამაგირის 20%.

3) მიეცეს ნოქრებს და შეგირდებს სუფთა და რეგვანი ბინა, სახმარი, ტანსაცმელი სუფთა, წელიწადში ორი გვირის თავისუფლება: ხარჯის ფულად 30 კ. დღეში, ავათმყოფობის დროს ორი გვირის ჯამაგირი, ერთი თვის ექიმობა და ხარჯი, ადგილი შეუნახოს ექვსი თვეს.

4) შეგირდებს ხელით 40 კირვანქაზე ზევით რამეს გადატანა აკრძალულია.

5) ზრდილობიანი მოპყრობა ორივე მხრიდან.

6) მოისპოს დუქნებიდან გასულ მუშტრის დაძახება, საშეგირდო ფულის აღება, ნოქრების და ქარგლების სახლში ხელზე სამსახური და 14 წლისზე ნაკლები ხნიანის შეგირდათ აყვანა.

7) ამ ნოქარს და ქარგალს, რომელსაც და დაითხოვს უმიზეზოთ ვადამდე, მიეცეს წლიურებს ორი თვის ჯამაგირი და თვიურებს ორი კვირის.

8) თუ ადარ უნდა ნოქარი და ნოქარს ბინაზე დგომა, ერთმანეთს ერთი თვის წინ უნდა შეატყობინონ თავიანთი განზრახვა.

9) საშეგირდო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელიწადს.

10) ყოველგვარ უთანხმოებას ადგილს და ნოქრებს შუა ჩამოგვრდნილს არჩევს სამედიატორო სამართალი.

11) გაფიცული დღეების ქირა წლიურებს სრულათ მიეცეს, თვიურებს კი ნახევარი, ამ პირობების მიღების შემდეგ ყველა ნოქარ-ქარგალ-შეგირდები შეუდგნენ მუშაობას 24 აგვისტოს. 21 აგვისტოს ს. დვანკოთს ხალხსა და ბაგრატიონის სტრატონიკეს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს ორი კაცი იქნა

რომანიძე და ბაკლე ქურციძე მოკლეს, ერთი სტრაჟნიკი და ორი კლეხი დაიჭრა.

სოფ. მარელისში 25 აგვისტოს უცხადებმა მოკლეს ს. დელვანის მასწავლებელი ივანე მაღრაძე, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის დღევანდელ მოძრაობაში.

ხალი.

—

სოფ. მეტეხი, (გორის მაზრა). ოცდა შვიდ აგვისტოს მეტეხს ეწვია ადგილობრივი ბოქაული, რომელსაც თან ახლდენ დრაგუნის ზოლის 40 სალდათი და ერთი ათიცერი. ამათი მოსვლის მიზანი სახელმწიფო კადასახადის და თავად ამიდახვრის საბადახეს აკრიფვა.

მოვიდა თუ არა ბოქაული, მას მაშინვე გამოეცხადა მამასახლისი და მწერალი, რომლებმაც დაიწყეს ხალხის შეგროვება, მაგრამ ხალხი უარზე იდგა და არ იკრიბებოდა. ამიტომ მამასახლისმა მოიშველია სალდათები და იმათი შემწეობით თითქმის მთელი სოფლის ხალხი შეაგროვეს სოფლის სამმართველოს წინ. ხალხს გარშემო შემოარტყეს სალდათები და გამოუცხადეს: სანამ სახელმწიფო ხარჯს და ამიდახვრის საბადახესაც არ გადიხდით, აქედან გერ დაიძვრებით. ამავე დროს შეგროვილ ხალხს ნებას არ აძლევდენ ან ერთმანეთს დალაპარაკებოდენ და ან ბოქაულისთვის ეთქვათ რამე. ადარც ზურის ჭამის ნება მიეცეს. ამავე დროს მამასახლისი დრაგუნებით დადიოდა და აგროვებდა გადასახადს ვისაც კი ჭქონდა რამე უკანასკნელსა ვიდრე ნახევარ ფასათ. სალამოზედ მეტი წილი გადასახადისა შეაგროვეს და მზის ჩასვლის დროს გაანთავისუფლეს ხალხი ერთი დღის მშვიერი. დანარჩენიც მეორე დღეს აკრიფეს და ბოქაული სალდათებით წავიდა აქედან 29 აგვისტოს.

30 აგვისტოს დილით აქ უცნეთ გაჩნდა რამდენიმე წევრი წითელი რაზმისა. ამათ ბირველათ მამასახლისი იპოვეს რომელიც ჯერ დაზოპანი იფნის სახრეებით გაუჭრელეს, ისე როგორც თვითონ ამ რამდენიმე ხნის წინათ გლეხებს აჭრელებდა, მერმე მთელი სოფელი დასტრეს და თან აძახებინეს: ადარ მინდა მამასახლისობა. ძირს მამასახლისობა! გაუმარჯოს ერთობასაო! ადარ მიგვდ ჩემს დღეში არც ბოქაულთან და არც სოფლის სამმართველოს მივეკარები, მინამ ცოცხალი ვარო. მერე სოფლის მწერალი ინახულეს და ვით მაღალაშვილი (ასწავრია), იმასაც მამასახლისის ბედი ეწვია. შემდეგ მივიდენ გაბრიელ და სამსონ მაღალაშვილებთან, რომლებიც შავი რაზმის მეკობრეთ ითვლებიან ისინი აკოშკიდან რომლებიც დამალულიყვენ, და შინ მხოლოთ ქალები დახვდათ.

დავით კალატოზიშვილი.

კორბოული, (სიხხერე). ახალმა სიომ აქამდისაც მოატანა!... მრავალ წლობით სისტემა მებატონის მძიმე უღლის ქვეშ მკენესარმა ხალხმა ხმა ადამაღლა; თავის ჭირ-ვარამზე თამამათ გაიძახის და ისიც საერთო რუსეთის დაბეჭვებული კლასის ფერხულშია ჩაბმული; ის დღეს ადარ ხდება უგელასათვის ამ დაბალ უორეთ, რაზედაც უგელას თამამათ შეეძლოთ მრავალგვარ კადარბენა. ის დღეს რადაც მდევგმირათ იქცა; გუშინ მისი არად ჩამგდები, დღეს მის წინ მუხლს იდრეკს, თხოვს წასულა ცოდვების პატიებას... უოველ ფეხის გადადგმაზე, სხვათა შორის, გეეურება: ბატონმა ნადელი გამიეიდაო!—როგორ? ეკითხები, ხომ შენი თანხმობით, და როდესაც ის გიპასუხებს: ჩემდა დაუკითხავათ, მოხერხებითო, გული გიდონდება და ფიქრობ თუ რათ მისულან მებატონენი ამ ზომამდის, რომ ის ერთი ცდა ნადელის სახით მინიჭებული კლეხთათვის მიწაც-კი გაუეიდნიათ მისდა დაუკითხავათ სხვა პირებზე! ხელ მოკლე თავ.-ასწავრობაზე რას ვიტყვი, მაგრამ დიდ მეშამულეებზე კი სმის ამოუღებლობა ძნელია!

მაგრამ ჩემი გაოცება უფრო გაორკეცდა, როცა აკაკიზე სიტყვას მოვკარი უური.

„ჩემმა ბატონმა აკაკი წერეთელმა, ამბობს გლეხი გუგუნა კაპანაძე, გამიეიდა სანადელო მიწა და ეს სამართლიანო?!... როგორც გამოძიებამ დაგვანახვა 1894 წ. 12 თუმნათ აკაკის მიუეიდნია კაკო გოგატიშვილისთვის სანადელო მიწა გუგუნა ნინიას ძის კაპანაძისა. სახელწოდებული „დუბალა“ ს. კორბოულს. სჩქმე გუგუნას და კაკოს შორის გამწვავებულიეო. გუგუნა გაიძახოდა: ღმერთი შემეწია ჩემი საბუთი ვიპოვე ხელთ *), რაც მასში მიწერია—ჩემიაო!... კაკო გაიძახოდა: მე ფული მიმიცია და ჩემიაო. ნებით არ რიგდებოდენ. ხალხმა ადგილი ორივეს ჩამოართვა იმ პირობით, რომ თვითონ შემომულე ორთავეს დაგაშაოთვიდებთო. ახლა ვეკითხებით ბ. აკაკის, თუ რა პასუხს მიეცემს ან ერთს და ან მეორე მხარეს?...

ლეონ.

—

ზემო რაჭა. როგორც ცნობილია, რაჭაში სამანელი მიწის ვაწრობა არის—ნამეტურ ზემო რაჭაში, სადაც გლეხი მუდამ, ზამთარ-ზაფხულ, შრომობს; საქმე დღეს სახლში დრმა მოხუცებულების გარდა ვერავინ ნახავ—სულ მთელი ოჯახი ბაგეებით სამუშაოზე არიან. მიუხედავათ ამისა აქაური გლეხი სამანელს, წარმოუდგენელს სიღატაკეს იტანს, თავისი ნამუშევარის ნაყოფი ათას ნაირ გადასახადებში მიდის: ამიტომ ადგილობრივი გლეხი, რომ ცოლ-შვილი შიმშილით არ ამოუწყდეს, იძულებულია ხდება გაეშუროს ქალაქებისაკენ და იქ დღიური ქირით გამოიტანოს თავი და აიცდინოს თავიდან შიმშილისაგან საკვდილი.

რადგანაც ასეთ პირობებში ცხოვრება აუტანელი შეიქნა, ამიტომ თანამედროვე გამათავისუფლებელი მოძრაობა ადვილათ ედება აქაურ სოფლებს და შორს არ არის ის დრო, რომ მთელი ზემო რაჭა ჩაებმება საერთო მოძრაობის ფერხულში. აქაური სოფლები იკრიბებიან კვირა იქმე დღე; დაპარაკობენ თავიანთ ჭირ-ვარამზე, იხრჩვენ თავიანთ შორის ათის თავებს და ასის თავებს, რომელთაც ანდობენ თავიანთ საქმეებს. 15 და 18 აგვისტოს შეიკრიბნენ ზვარეთის და ონის სახოგადოებების სოფლებიდ: ზვარეთი, ზეითი, ზოფ, გვაშხეთი, ქორთა (ზვარეთის სახოგადოება) ზარპანისი, ქრისტესი, სხიერი (ონის სახოგადოება). კრებებს დასწრო ათასამდინ ქალი და კაცი. იდაპარაკეს სახოგადოთ თანამედროვე მოძრაობის შესახებ გადასახადებზე (პირდაპირი და არა პირდაპირი) და სხვ.; ერთ ხმათ შეეიტეს ერთმანეთს არ უღალატონ საერთო საქმეში, ემსახურონ სამართლეს და პატიოსნებას, არავითარი უსამართლობა არ დაეთმონ ვინც უნდა იეოს მისი ჩამდენი და ზიზღი გამოუცხადონ იმათ, ვინც საერთო საქმეს არ ემსრობა.

დაბა ონში პარასკეობას (იარმარკობა იციან) ჩამოეაგთ დიდძალი ხარის ჯოგი გასაეიდათ. თითოეულთ გაეიდეულ სარზე აქამდის ახლეინებდენ 2% ხაზინის სასარგებლოთ და გარდა ამისა კიდევ 30 კაპ. ვითომდა ბაზრის სასარგებლოთ. ათჯერ რომ ჩაგეეკანა ერთი და იგივე ხარი, მაინც უნდა გაეხადა ბაჟი. ამ გადასახადს აქამდის ხმა-ამოუღებლივ იხდიდენ, ახლა კი შეიგნეს რა: რომ ეს უსამართლობა არის, მიიდეს ზომები ამის მოსასპობათ, 1 მარტამდისთვეს ხარის ჯოგი ჩაეეენეს ტოტა ბაზრის მოშორებით და მსურველნი იქ ადიოდენ საეიდლათ, ეს იწეინა მთავრობამ; გაგზავნეს ბოქაული ათი ურჯახ-რუსით, რომ აეძალგმა თავხედი ხალხი. ბოქაულის ასვლისთანავე წარუდგა ერთი გლეხკაცანი და უთხუნა, რომ ისინი გაძალრით აცხადებენ უარს. ამისთანა უსამართლო ბაჟების გადახდაზე, უფლება იმათ ქეძავენ; მიწა მათ არ აქვთ საეოფი, რომ ამათ არჩინონ თავიანთი ცოლ-შვილი. რაც აქვთ იმასაც ათას ნაირი ბეგარა ადევს, წკნელი არ შეუძლიანთ მოჭრან ტყეში. ამ

*) ეს საბუთი მომრიგებელ შუამავალთან ყოფილა აქამდის.

ნაირი ცხოვრება აუტანელი შეიქნა მათთვის. ასე წარმოიდგინეთ, მათ საკუთარ ხარში მანათს ახლვენებდენ, და ეს უსამართლობაა და ამიტომ ჩვენ უარს ვაცხადებთ ამის გადახდაზედ. ბოჭულმა ეფენდიმ ეს მაზრის უფროსს აცნობა რომელიც ტოტა ხნის შემდეგ, ოცდა ათი ცხენოსანი კაზაკით შემოერტყა ხალხს, წარუდგა მაზრის უფროსს მეორე ხალხის დეპუტატი და უპასუხა:—ჩვენი მოთმინების ფიალა ავსებულია, ამისთანა სიტყვებს სიკვდილი ჯობია, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ან დავიხოცნეთ და ან გავიშჯობესოთ ჩვენი მდგომარეობა. ამ სიტყვებმა საშინლათ გააბრაზა მაზრის უფროსი და უბრძანა თავის მხლებლებს, რომ შეეკრათ თავხედი, მაგრამ ხალხმა მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლება, ან სუყველას დახოცვა. მაზრის უფროსი იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებია ის.

ბაქოს ვითარება.

უკანასკნელი ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ ბაქოში ამ ჟამათ შეწყვეტილია ადამიანთა შეუბრალებელი ჟლეტა-ხოცვა, საშინელი და უმაგალითო სისხლის ღვრა. თებერვლის შავი, საშინელი დღეები აგვისტოში განმეორდენ თავისი შეუდარებელი სიმხეცით, შეუბრალებლობით და განრისხებით. ორი ტომის ხალხმა, ერთ ტერიტორიაზე ერთ და იმავე ქალაქში მცხოვრებმა, მოინდომა ერთი ერთმანეთის მოსპობა და პირისაგან ქვეყნისა აღგვა. კაცობრიობის ისტორიამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღმოსავლეთის საიდუმლოებით და სიბნელით მოცულ ისტორიას, ამის მსგავსი მაგალითი არ იცის. ჩვენ ვიცით, რომ ერთი ტომის ხალხი თავს ესხმის მეორე ტომის ხალხს ასაკლებლათ ან დასამორჩილებლათ; ჩვენ ვიცით, რომ ერთი წოდება ანუ კლასი ებრძვის მეორე წოდებას ანუ კლასს; ჩვენ ვიცით, რომ მთავრობა და მისი დამქაშები ხალხის რომელსამე ნაწილს ავიწროებს, სდევნის და შეურაცხყოფას აყენებს; მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რომ ერთ და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები ორი სხვა-და-სხვა ტომის ხალხი ერთი ერთმანეთს სრესდეს და ჟლეტდეს განურჩეველათ წოდებისა და მდგომარეობისა, სქესისა და წლოვანებისა. მართალია, ამ ათი წლის წინეთ მსგავსი შემთხვევა მოხდა ოსმალეთში იმავე სომხებსა და ოსმალებს შორის; მაგრამ ამ სანიზღარ ამბავს ყველა ოსმალეთის გათახსირებულ მთავრობას და მის დაცემულ, მოკრთომე მოხელეებს აწერდენ, რომელთაც შურდათ მდიდარ სომხების ქონება და სიძლიერე. ამიტომ სომხების ამოჟლეტა და დახოცვა საჭირო იყო ოსმალებისათვის ამ სიმდიდრის ხელში ჩასაგდებათ. და აი გახრწნილი, გათახსირებული და ნახევრათ ველური ოსმალეთის მთავრობა ხელს უწყობს წუწკ მოხელეებს და გაფანატიკოსებულ უვიც ბრბოს სომხების ამოწყვეტაში. მაგრამ მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ იგივე განმეორდებოდა საქრისტიანო სახელმწიფოში და განმეორდებოდა ათას წილათ უფრო მეტი სიმხეცით, ათასჯერ უფრო მეტი შეუბრალებლობით? და აი სწორეთ ეს მოხდა დღეს ჩვენ თვალ წინ. და მერე არ იკითხავთ, ვინ იღებს ამ მხეცურ და ველურ მოქმედებაში მონაწილეობას, ვინ ხელმძღვანელობს ყოველად სანიზღარ და ალმაშფოთებელ საქმეს? ამის შესახებ ისტორია ჯერ არაფერს გვეუბნება, ყოველსავე ამას ჯერ-ჯერობით კითხვითი ნიშანი უძევს. მაგრამ მოვა დრო, და ეს დრო შორს აღარ არის, როცა დადგება განკითხვის დღე, როცა ყველა ამის ჩამდენი, და მომქმედი სამარცხვინო ბოძზე იქნება გაკრული. დღეს კი სისხლის ღვრა, გაზეთების ცნობებს თუ ვერწმუნებით, შეწყვეტილია, ადამიანებს აღარ ხოცვენ ყოველ[illegible] თქვენ. ერთი სიტყვით ზავი ჩამოვარდნილია. მაგრამ [illegible] თავდები, რომ ამ ცოტა ხანში აღარ განმეორებდა ყოველივე ეს? განა ასე არ იყო თებერვალშიაც? განა მაშინაც არ ირწმუნებოდენ: რომ ეს ორი ხალხი, სომხები და თათრები, სამუდამოთ შერიგდენ და ამიერიდან ის აღარ მოხდება, რაც მოხდაო? აშკარაა, რომ ეს არავის არ წამდა და უპირველეს ყოვლისა არ სწამდათ ამ ორ გადამტერებულ ხალხს. სიტყვით ასე ამბობდენ, და საქმით კი ისევ ერთი ერთმანეთის ამოსაწყვეტათ და გასანადგურებლათ ემზადებოდენ. ამიტომ არავის არ შეუძლია იმის თქმა, რომ დღევანდელი ზავი დროებითი არ არის. და მართლაც განა ადვილი მოსათმენია ქმრის, შვილების, დედ-მამის და მთელი საცხოვრებელის დაკარგვა? ვის შეუძლია ამის პატივება? და მერე ეს ხომ ერთ და ორს არ მოსვლია. ამ ყოფაშია ათასი და ათი ათასი ოჯახი ორი მხრიდან. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დღევანდელი ზავი არ არის მკვიდრი, რომ თუ საზოგადოებამ რაიმე საშუალება არ იხმარა, დღეს თუ ხვალ შესაძლებელია კიდევ უარესი უბედურება დატრიალდეს ბაქოში თუ არა, ერევანში, განჯაში, თფილისში ან რომელსამე სხვა ადგილას. ვერც გაძლიერებულმა დაცვამ, ვერც სამხედრო წესების შემოღებამ, ვერც ჯარმა, ვერც პოლიციამ ეს უბედურება ჩვენ ვერ აგვაშორეს. საზოგადოებამ თითონ უნდა იღონოს რამე, რომ შემდეგში ჩვენ ამის მოწამე აღარ შევიქნათ. ჩვენ უკვე გვეყოფა რაც თავზე დაგვატყდა, რა უბედურებაც გამოვიარეთ. მაგრამ რომ რაიმე ვიღონოთ, ამისათვის აუცილებლათ საჭიროა იმის შეტყობა, თუ რამ გამოიწვია ეს საშინელი უბედურება. შეუძლებელია, რომ ეს უბრალო შემთხვევას მივაწეროთ, ან ერთი და ორი კაცის შურის ძიებით ავხსნათ. არა, აქ მოქმედებენ ბევრათ უფრო ღრმა მიზეზები, და აი ამ მიზეზების ცოდნა ჩვენთვის აუცილებლათ საჭირო ნამდვილ დამნაშავეთა ამოსაჩენათ. ყველაზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ ამ სამარცხვინო მოქმედების ბუდეთ გადაიქცა მთელ დედა მიწის ზურგზე მილიონებით განთქმული ბაქო. დაღუპულ ადამიანთა მსხვერპლს რომ თავი დავანებოთ, ამ უბედურებამ იმსხვერპლა აგრეთვე ნახევარი საუკუნის შრომა ნავთის სხვა და სხვა გვარ შენობათა სახით. დღეს ნავთის წარმოების შეჩერებით რამდენიმე ათი ათასი და ასი ათასი მუშა დარჩება სულ ულუკმა პუროთ და ვინ იცის, შეიძლება სიმშილისაგან სიკვდილი მოელის. თუ ამავე დროს ჩვენ წარმოვიდგენთ შინაურ არეულობას, რამდენიმე გუბერნიის დამშევას, სამრეწველო და სამეურნეო კრიზისს, იაპონიასთან უბედური ომის აუარებელ ხარჯებს, მაშინ ჩვენ თვალ-წინ წარმოგვიდგება მეტათ საზარელი სურათი. მაგრამ პირში გამაგრებაა საჭირო, და რუსეთის ხალხმა უნდა მოიკრიფოს ძალა და ძლიოს ყველა იმ უბედურებას, რომელიც კი დღეს მას კარზე ადგას, რათა ერთ ხელ და სამუდამოთ შეუძლებლათ გახადოს ასეთ უბედურებათა განმეორება.

რუსეთის ქრონიკა.

მატროსთა და სალდათთა დახვრეტა. 24 აგვისტოს სევასტოპოლში თოფით დაუხვრეტიათ „პრუტ"-ის ტრანსპორტის ოთხი მატროსი. იმავე დღეს ხერსონში დაუხვრეტიათ სადისციპლინო როტის ოთხი სალდათი. (ბ. ვედ.).

სევასტოპოლში, 3 სექტემბერს დახვრიტეს სამხედრო საზღვაო სასამართლოს მიერ დასჯილი მატროსები დაიენგო და კუშუბა.

—

5 სექტემბერს უმაღლესის ბრძანებით, ბელოსტოკსა და ბელოსტოკის მაზრაში სამხედრო წესები იქმნა გამოცხადებული.

—

20 აგვისტოს, მოსკოვში ტემკინის მაზრის თავად-აზნაურთა წინააძღოლის ნოსილცევის სახლში 13 კაცი შეიკრიბა სახელმწიფო სათათბიროში გასატარებელი პროგრამის შესამუშავებლათ. შეიკრიბენ შემდეგი პირები, პროფესორები: ე. ტრუბეცკოი, ლუჩიცკი, მანუილოვი, გერცენშტეინი, თავ. პავ. დოლგორუკოვი, ვოლიუპაკინი, ლვოვი, ნოვოსილცევი, თავ. შახავსკოი, რეპნინი, იაკუშკინი. კრებას თავს დაეცა პოლიცია და გამოუცხადა, რომ მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით თათბირი შეაწყვეტინოს. საუბარის გაგრძობა შეუძლებელი იყო, რადგან პოლიცია ოქმის წერას შეუდგა, რასაც დაახლოვებით სამი საათი მოანდომა. როდესაც შეკრებილებმა გამოუცხადეს პოლიციას, რომ ასეთი უბრალო თათბირს ისინი კანონის სიწინააღმდეგოთ არ თვლიან და პოლიციას უკანონო ბრძანებას არ დაემორჩილებიან, პოლიცია მათ ძალით გაფანტვას დაემუქრა. (პრავო).

—

„რუსკ. სლოვო“ შემდეგს გადმოგვცემს მოსკოვში მომხდარ ერობის წარმომადგენელთა კრების შესახებ. კრება ბაჟანოვის ბინაზე იყო. როცა ყველა წევრები შეიკრიბენ, მოვიდენ მოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ნოსკოვი და ბოჭაულის თანაშემწე კოსოგოროხოვი და უბრძანეს სხდომა შეწყვიტათ. ამაზე უარი უთხრეს. ნოსკოვმა გრადონაჩალნიკს დაუწყო ტელეფონით ლაპარაკი და გამოუცხადა კრებას, რომ სხდომის გაგრძელება მხოლოთ მისი თანადასწრებით შეიძლებაო. სხდომის გათავების შემდეგ ნოსკოვმა ოქმი შეადგინა, რომელზედაც ყველა იქ დამწსრეთ ხელი მოაწერეს. (პრავო).

—

პოლტავის გუბერნიის მმართველმა უბრძანა ქალაქის თავებს აკრძალონ ყოველივე სჯა-ბაასი სახელმწიფო საქმეების შესახებ. (პრავო).

—

სამარაში 6 თვით დაიხურა მასწავლებელთა დამხმარებელი საზოგადოება. საქმეები გადაეცა სახალხო სკოლების დირექციას. (პრავო).

—

ვლადიმირის გუბერნატორმა შეატყობინა კოვჩოვის ერობის ეკონომიურ რჩევის თავმჯდომარეს სმირნოვს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ—პოლიციის გამგემ—აკრძალა ამ რჩევის სხდომებიო. (პრავო).

—

სტავროპოლში, სრულიად მოულოდნელათ დახურეს 6 თვით სახალხო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწის, პოლიციის გამგის, განკარგულებით. (ვ პ.).

—

ამას წინეთ მოსკოვში მოხდა გლეხთა კავშირის კრება. ამ ჟამათ პოლიცია გაფაციცებით იკვლევს ამ საქმეს.

—

კიევიდან იტყობინებიან: საარჩევნო კრება არ შესდგა, რადგან პოლიციამ ხელი შეუშალა. მიუხედავათ ამისა კიევში საარჩევნო აგიტაცია დაწყებულია. კონსერვატიული პარტია კანდიდატათ ასახელებს პროფესორ პიხნოს; ლიბერალური-კიევის უნივერსიტეტის პროფორს ტრუბეცკოის ასახელებს, თუმცა ლიბერალების ერთ ნაწილს ნაფიცი ვექილი მწერალი რატნერი ურჩევნია. (პრ. კ.).

რუსეთ-იაპონიის ომის გავლენა იაპონიის და ჩინეთის აღებ-მიცემობაზე და მრეწველობაზე.

გ. კაუტსკისა.

იაპონიის გამარჯვება, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას იქონიებს ამ ქვეყანაზე, მარა მისი განვითარების მსვლელობის მიმართულება იგივე დარჩება, რაც იყო, მხოლოთ უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ. თავის კაპიტალისტურ წარმოებას წინანდელზე უფრო გაავითაოებს ეს ქვეყანა. იაპონიის თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ქვეყანა იჭით განირჩევა სხვებიდან, რომ თავის განვითარებაში დიდი ნახტომი გააკეთა: მას არ გაუვლია ფეოდალიზმის გადაგვარების ხანა და ეს გარემოება არის მიზეზი იაპონიის ძლიერებისა. მართალია, ფეოდალიზმი უკვე დაცემული იყო, როცა კაპიტალისტურ წარმოების ხანაში შედგა ფეხი იაპონიამ, მარა მან, ე. ი. ფეოდალიზმმა ვერ მოასწრო იაპონიის გახრწნა; ევროპაში კი, როგორც ვიცით მთელი ორი საუკუნე (XVII და XVIII) მოანდომა ფეოდალიზმა საზოგადოების გათახსირებას. იაპონიამ უცებ შეითვისა განვითარებული ტეხნიკა და უმაღლესი ცოდნა კაპიტალიზმისა.

საშვალო საუკუნოების რაინდულ ძლიერებას და ენერგიას და ფეოდალიზმის სპარტანულ სიმარტივეს წარმოების და ომის საქმეში შემატა თანამედროვე ტეხნიკის ძალ-ღონე და თანამედროვე კაპიტალის დაუდგრომლობა და გაფართოებისაკენ ლტოლვილება.

ეს თავისებური კაპიტალიზმი XX საუკუნისა თავის გამარჯვების ჯილდოთ გაძლიერებულ კაპიტალს და ექსპლოატაციის ფართო სარბიელს დაიმსახურებს. მაგრამ იაპონიის კაპიტალიზმთან ერთათ უნდა განვითარდეს იაპონიის სოციალიზმი, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, იმავე ენერგიას და გაფართოების სურვილს გამოიჩენს, როგორც თვით იაპონიის ხალხი. კაპიტალიზმის თავისებურობას იაპონიაში ზედ დაერთება თავისებური სოციალიზმი. მაგრამ თავის განვითარებისთვის საჭირო სულიერი იარაღები ერთმაც და მეორემაც ევროპიდან და შეერთებულ შტატებიდან უნდა გადმოიღოს. ამიტომ რაც მეტი ურთიერთობა და დამოკიდებულება ექნება იაპონიას დასავლეთ ქვეყნებთან, მით უფრო ადრე და ადვილათ მიიღებს იაპონიის სოციალიზმი საერთაშორისო სოციალიზმის სახეს, მიუხედავათ იმის, რომ იგი თავისებური იქნება.

ყველაზე უფრო დიდ გავლენას რუსეთ-იაპონიის ომი ჩინეთზე იქონიებს, იგი სამუდამოთ მოსპობს ჩინეთის პოლიტიკას და კარჩაკეტილობას. ჩინეთი თვით ბუნებამ დააშორა დანარჩენ ქვეყანას: იგი ყოველ მხრით შემოზღუდულია ან მიუვალი მთებით, ან ნაოსნობისათვის თითქმის გამოუდეგარ ზღვით, ან უდაბნოებით, ან ცალიერი ადგილებით, ასე რომ ჩინეთი უზრუნველ ყოფილი იყო თავდასხმის და ხალხის გადმოსახლების მხრით. ამისდა გვარათ მხედრობის განვითარებას ნიადაგი არ ქონდა იქ და გლეხობას, რომელიც ჩინეთში მიწათმოქმედებით ცხოვრობს, მხედრობა არასოდეს არ ავიწროებდა. მიწის მუშა გლეხი მშვიდობიანობის მოტრფიალეა და ყოველივე უცხოს უფრთხის, მას აკლია მონადირის სიმამაცე, დაუდევრობა და სიძუნწე, იგი არ გაეს თავზე ხელ აღებულ მეზღვაურს ან მაწანწალა მწყემსს. თუ გლეხი საფუძვლიანათ არ გაიწვრთნა და დაიცადა, მისგან კარგი ჯარის კაცი ვერ დადგება. ასეთი გაწვრთნა და საჭირო სწავლა კი მას იმ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს, თუ მის გვერდით არსებობს ძლიერი სამხედრო არისტოკრატია. ჩინეთში კი ეს უკანასკნელი არ ყოფილა. არისტოკრატიას იქ შეადგენდენ ბიუროკრატები და არა მხედრები. ამისთვის,

როცა ევროპიელებმა მიაღწიეს ჩინეთის ზღვის საშვალებით, ჩინეთმა საფრთხე დაინახა და მთელი თავისი ცდა იმას მოახმარა, რომ, ისეთაც გამოცალკევებული თავისი ქვეყანა კიდევ უფრო მოეწყვიტა სხვა ქვეყნებისაგან. ევროპიელთა ძალამ თან და თან შეარღვია ჩინეთის ზღუდე, მარა, მიუხედავათ ამისა, ჩინელები მაინც წინანდელ საშვალებას ხმარობდენ მათ წინააღმდეგ, რადგან თავის ძალღონის იმედი არ ქონდათ, რომ ფიზიკური ღონით გაეძევნათ ევროპიელები. თითეული შეტაკება ჩინეთის დამარცხებას მოასწავებდა და აქტიური მოქმედების სურვილი კიდევ უფრო გაქარწყლდა ამ ქვეყანაში. ასეთი პოლიტიკა, რასაკვირველია, კარგს არაფერს უქადდა ჩინეთს, ეს ვეებერთელა ქვეყანა წარმოადგენდა ევროპის სახელმწიფოთა მსხვერპლს და ჯერ კიდევ თუ განაგრძობდა არსებობას, ეს იმიტომ რომ მისი მტრები მის განაწილებაში ვერ მორიგებულიყვენ.

ახლა კი ასეთი მდგომარეობა აღარ არსებობს ჩინეთში. იაპონიამ არა თუ ჩინეთის ერთი უმძვინვარესი მტერი დაამარცხა, არამედ დაამტკიცა კიდევ, რომ ევროპიელების დამარცხება შესაძლებელი ყოფილა, მარა ჩინური კედლებით თავის შემოზღუდვით კი არა,—სწავლით და გადმოღებით იმავეე ევროპიდან ყველაფრის, რაც კი ღირს შესანიშნავი შეუმჩნიათ იქ.

აქამდი ჩინეთი გზას ულობავდა თანამედროვე ტეხნიკას და ცოდნას. ახლა კი იაპონელთა ბრწყინვალე მაგალითმა სამუდამოთ უნდა გადაწყვიტოს ჩინეთის საქმე და თვით იაპონელები კი უნდა გახდენ მათი მასწავლებლება. უკანასკნელთაგან ჩინელები მარტო მეცნიერებას და ტეხნიკას კი არ გადმოიღებენ, არამედ სამხედრო ხელოვნებასაც შეისწავლიან.

იაპონიას ჰარბათ მოეძებნება ის, რაც ჩინეთს აკლია: მას ყავს მრავლის უმრავლესი წვრილი თავად-აზნაურობა, რომელსაც რაინდული ხასიათი შერჩენია და რომელიც შვენიერათ გაწვრთნის ჩინელ გლეხს და ჩინებულათ შეას წვალის მას სისხლის ღვრის ხელობას....

იაპონიის გამარჯვებამ გადააჩინა დასავლეთ სახელმწიფოებს მტაცებლობას იაპონიაც და ჩინეთიც. ამიერიდგან თეთრი რასის ხალხი ველარ გააფართოებს თავის კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ჩინეთი წარმოადგენდა უკანასკნელ მსხვერპლს, რომელიც უნდა დაეწიოკებია თეთრ რასას. ჩინეთის დანაწილების შეუძლებლობით ბოლო მოეღო ქვეყნის დანაწილებას.

ამიერიდან კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული ხდებიან თავის გაფართოებისათვის ერთმანერთს მიმართონ. ეს გარემოება ახალ ხანას დაბადებს მსოფლიო ისტორიაში.

იაპონიის კაპიტალიზმის ასპარეზის სწრაფი გაფართოება და მასთან ჩინეთის მხედრობის გაძლიერება და მისვლა მოსვლის საშვალებათა გაუმჯობესება, რა თქმა უნდა, მსოფლიო კაპიტალიზმის ბაზარსაც გააფართოებს. ამიტომაა, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის ზავის ჩამოგდების შემდეგ მრეწველობის აყვავებას მოელიან... ყველაზე უფრო ამ მრეწველობის აღორძინებით იაპონიასთან ერთათ შეერთებული შტატები ისარგებლებენ. უკანასკნელს ხელს უწყობს ამ ხრით გეოგრაფიული მდებარეობა და ის გონიერი პოლიტიკა, რომელსაც იგი შორეულ აღმოსავლეთის მიმართ ხმარობს. მაგრამ, ამავე დროს, შეერთებულ შტატებს საკვარი სიმწვავით თვალწინ დაუდგება მუშათა კითხვის ერთი დამახასიათებელი მხარეთაგანი სახელდობ—საკითხი ჩინელების იმიგრაციისა (ჩინელების ჩასახლებისა შეერთებულ შტატებში),

ახალ დაწყებული კაპიტალისტური წარმოება, ჩვეულებისამებრ, შექმნის მრავლის უმრავლეს სამუშაოს მოკლებულ ხალხს. უმეტესობა ასეთ ულუკმა-პუროთ დატოვებულთა იძულებულია ორში ერთი აირჩიოს: ან სხვა ქვეყანაში გადასახლება, ან ქურდობა-ავაზაკობა და მუდამ შიმშილობა-მათხოვრობა. გაჩნდება თუ არა ასეთი ხალხი ჩინეთში, უპირველეს ყოვლისა იგი ამერიკისაკენ გასწევს, რადგან აქ ბევრი კარგი დაუსახლებელი ალაგებია, და გარდა ამისა ძვრება სხვა მხარეზე უფრო ადვილი მისაწვდომია ჩინელებისათვის.

დღემდმს ავსტრალიელი და ამერიკელი მუშები, რომელთაც პროფესიონალური კავშირების გარდა არავითარი ორგანიზაცია არა აქვთ, უკრძალავდენ ყვითელ კანიან მუშებს გადმოსახლებას, რადგან უკანასკნელთა კონკურენცია, რასაკვირველია, სამუშაო ფასს დასწევდა: ახლა კი გაღონიერებული და სახელო-განთქმული იაპონია ნებას არ მისცემს არავის, რომ მისი მოქალაქენი სხვა მოქალაქეებზე დაბლა იდგენ უფლებებით. მაგრამ როგორც ეტყობა, არც ჩინეთი შეურიგდება იმ აკრძალვას, რომელიც მის ხალხს შეეხება. მართალია, ძალით ვერ აღუდგება წინ ჩინეთი ასეთ გარემოებას, მარა მაგიერში მას შეუძლია სხვა საშვალებას მიმართოს თავის ინტერესების დასაცველათ. იგი თავის ფართო ბაზარის დაკეტას დაემუქრება შეერთებულ შტატების კაპიტალისტებს. ესენი კი ისევ სამუშაო ქირის დაკლებას ამჯობინებენ, ვინემ ჩინეთის ბაზრის დაკარგვას.

ასე რომ, ჩინეთის საკითხი, ადვილი შესაძლებელია, დიდი უთანხმოების მიზეზათ გახდეს ამერიკელ კაპიტალისტთა და მუშებს შორის. დემოკრატიის მდგომარეობას ეს გარემოება ვერაფრით გააუმჯობესებს. პირიქით, დემოკრატია იძულებული გახდება ორპოფულ მდგომარეობაში ჩავარდეს: ერთი მხრით მან უნდა დაიცოს ამერიკელ მუშათა ინტერესები, მეორე მხრითკი საერთაშორისო თანხმობა და სოლიდარობა. დაბოლოს, ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკელი მუშები შეიგნებენ ყოველივე კარჩაკეტილობის პოლიტიკის უვარგისობას, როგორც უწინდელი ჩინეთისა, ისე ახლანდელი ამერიკისათვისაც, მიხვდებიან, რომ ამით ვერაფერს მოიგებენ და რომ ჩინელების და იაპონელების სიზოგადოებრივი აღზრდა, როგორც შორეულ აღმოსავლეთში, ისე ამერიკაშიაც ერთ ფრიად მნიშვნელოვან მიზანს შეადგენს ამერიკელ მუშათა მოძრაობისათვის.

По опредѣленію Кавк. Цензурнаго Комитета 6 Сентября 1905 г. настоящее опроверженіе подлежитъ на основ. 139 ст. Уст. Ценз. обязательному напечатанію въ жур. „Могзаури“ съ исключеніями.
Предсѣдатель Комитета *Гакель*.

წერილი რედაქციის მიმართ.

(ერთი უცნაური „ბოიკოტის“ გამო).

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის „მოგზაურის“ მეოცდა ათე ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია ორი შერისხვის წერილი. ერთი შეეხება ძმათა შადინოვებს და მათ მიერ ნოქრების უმიზეზოთ დათხოვნას, ხოლო მეორე მე თქვენს უმორჩილესს მონა მოსამსახურეს, ვითომც და ჩემს უსინდისო საქციელს ჩემის „ამხანაგის“ ას. კალანდაძის შესახებ.

მე არ ვიცი თუ რამდენათ მართებულია „ბოიკოტის“ გამოცხადება ძმ. შადინოვების შესახებ, მაგრამ მე რომ ყოველად უმიზეზოთ და უსამართლოთ მომქცევიან ჩემგან უცნობი ვითომც და „ვაჭრები“—„ბოიკოტერები“ ეს კი დღესავით ნათელი გახლავთ, რასაც ქვემოთ დაგიმტკიცებთ. ჯერ კი ნებას მივცემ ჩემს თავს და მოგაგონებ, ბ-ნო რედაქტორო, რომ ზემოთ ხსენებული წერილის შეუმოწმებლათ გამოქვეყნება გაზეთში დიდი ცოდო არი და ყოველად შეუწყნარებელიც, რადგან ტყუილა-უბრალოთ შეურაცხყოფს უდანაშაულო კაცს.

დამიტრი ხუნდაძე.

(შემდეგი იქნება).

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 10-го Сентября 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.